ხელშეკრულება №263
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გურჯაანი 05 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი მერის არჩილ ხანდამაშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორეს მხრივ შპს „MNG", მისი დირექტორის მინდობილი პირი თინათინ ცოფურაშვილის სახით (ს/კ 427717321) (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2 (ორი) ერთეული ელექტრო გამათბობელი (BKI2000);
2.2 cpv კოდი: 39700000; 39710000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 298 (ორასოთხმოცდათვრამეტი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) საქონლის მიღების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) საქონლის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) საქონლის მიწოდება განახორციელოს, სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, საქონელის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 1 თებერვლის № 290 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს და მიღება-ჩაბარების აქტს;

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ **მისამართზე: გურჯაანი, ნონეშვილის გაზირი N 13;**

8.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 05 ნოემბრიდან 2019 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახალშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში

მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 05 ნომბრიდან და მოქმედებს **2019 წლის 20 დეკემბრამდე.**

შემსყიდველი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი ს/კ 227765022 ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის №GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი: შპს „MNG“; ს/კ 427717321; ქ. გურჯაანი, ნონეშვილი გამზირი #10; ს.ს. “საქართველოს ბანკი”, ბ/კ BAGAGE22, ანგარიშის №GE37BG0000000522912400.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი მერი არჩილ ხანდამაშვილი	შპს „MNG“ დირექტორის მინდობილი პირი თინათინ ცოფურაშვილი
_____	_____

Gurjaani Municipality
Digitally signed by Gurjaani Municipality
Date: 2019.11.05 12:13:59 +04'00'

Tinatin Tsopurashvili
Digitally signed by Tinatin Tsopurashvili
Date: 2019.11.05 14:00:22 +04'00'

ინტერესთა კონფლიქტის
ოქმი

ქ. გურჯაანი

2019 წელი 04 ნოემბერი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გურჯაანის მუიციპალიტეტის მერიისათვის 2 (ორი) ერთეული ელექტრო გამათბობლის (BKI2000) შესყიდვის განხორციელებაში (საქონელი ღირებულება შეადგენს 298 (ორას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს), შპს „MNG-სთან“ (ს/კ 427717321) მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

არჩილ ხანდამაშვილი — გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი;

ვლადიმერ მუსალბიშვილი — მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

ნანა ჭაბუკაძე — მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი;

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02002948979219

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190418486

რეგისტრაციის თარიღი

17.04.2019 წ

ნოტარიუსი: ციალა იმედაშვილი
მისამართი: ქ.გურჯაანი ნონეშვილის ქუჩა 4
ტელეფონი: 598421713

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ორიათას ცხრამეტი წლის ჩვიდმეტი აპრილი

მე, **ნოტარიუსს, ციალა იმედაშვილს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. გურჯაანში ნონეშვილის ქ №4-ში, მომმართა **ნიკოლოზი გეთიაშვილმა,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა **თინათინ ცოფურაშვილის** მიმართ და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ნიკოლოზი გეთიაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით. დავრწმუნდი, რომ 2019 წლის 17 აპრილს მომმართა **ნიკოლოზი გეთიაშვილმა,** დაბადებულმა გურჯაანში 27.01.1979 წელს მცხოვრები გურჯაანი დ. გურამიშვილის ქ. №13, პირადი №13001002535.

მე შევამოწმე **ნიკოლოზი გეთიაშვილის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავადგინე მისი უფლებამოსილება და ნების გამოხატვის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი **ნიკოლოზი გეთიაშვილს.** მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა
2019 წლის ჩვიდმეტი აპრილი

ნიკოლოზი გეთიაშვილი, შპს MNG დირექტორი, თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (საიდენტიფიკაციო №427717321) დაბადებული გურჯაანში 27.01.1979 წელს, მცხოვრები გურჯაანი დ. გურამიშვილის ქ. №13, პირადი №13001002535, ამ მინდობილობით თინათინ ცოფურაშვილს, დაბადებულს გურჯაანში 30.09.1976 წელს, მცხოვრები გურჯაანი, ს. ჩუმლაყში, პირადი №01024004053, ვანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს ჩემი წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასა და კერძო სტრუქტურებში. კომპეტენტურ პირებთან ურთიერთობებში. შემოსავლების სამსახურში. ნებისმიერ ბანკში. მუნიციპალიტეტის მერიასა და მის შესაბამის სამსახურებში. ჩემი სახელით აწარმოოს შპს „ MNG„ ყოველგვარ დოკუმენტაციაზე ელექტრონული ხელმოწერა.

ასევე შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც მინდობილობაში ამომწურავად არ არის მინიშნებული, მაგრამ აუცილებელია აღნიშნული დავალების ბოლომდე შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 5 წლის ვადით და ძალაშია 2024 წლის 17 აპრილის ჩათვლით. მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარ მნიშვნელოვან ეგზემპლიარად. ერთი პირი რჩება **ნოტარიუს ციალა იმედაშვილის** სანოტარო ბიუროს არქივში. სამი გადაეცა **ნიკოლოზ გეთიაშვილს** ხელზე. გადახდილია ნოტარიუსის საზღაური ათი ლარი +2 ლარი რეგისტრაციის საფასური. სულ 12 ლარი. მუხლი 31 და 39-ის I პუნქტი. „სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების თანახმად.

ხელმოწერა: **ნიკოლოზ გეთიაშვილი**

ნოტარიუსი: **ციალა იმედაშვილი**